www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 4 იანვარი, 2003 წელი. №2 (214)

ფასი 50 თეთრი

## 2003 - „თოფაძის ბარკლებიდან" სახელმწიფო ბიუჯეტამდე, საგადასახადო კოდექსის გავლით

სოფიკო ოხანაშვილი
სოფო კვინტრაძე

*2002 წლით ასე თუ ისე კმაყოფილი მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს 2003 წელზე და უკვე განსაზღვრული გეგმებითაც ხვდება. მთავრობის წევრების თქმით, მათი მოქმედების ძირითად მიზანს საბიუჯეტო სისტემისა და პოლიტიკის დახვეწა, აჭარის საკითხის მოგვარება, ვალების რესტრუქტურიზება, შემოსავლების ზრდა, სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება და სამინისტროებში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს. მთავრობისგან განსხვავებით, პარლამენტარები ნაკლებად ოპტიმისტები არიან. კანონმდებლები ნაკლებ იმედებს ამყარებენ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და, ძირითიდად, საკუთარი ძალების იმედი აქვთ. მიმდინარე წელს ეკონომიკური პროფილის კომიტეტების ყურადღების ცენტრში განახლებული საგადასახადო კოდექსის პროექტი, ტრანსპორტის დაბეგვრის ახალი მექანიზმი აღმოჩნდება. რაც შეეხება ცალკეულ ფრაქციებს, მათი მიზანია 2002 წელს განუხორციელებელი საკუთარი ინიციატივების დაცვა.*

2003 წელს განსახორციელებელ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. მათი აზრით, ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავრობას ბიუჯეტის დამტკიცების იმედი აქვს



*მთავრობამ ეკონომიკას ოპტიმიზმის რეცეპტი გამოუწერა.*

სოფო კვინტრაძე

სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ გამართულ თათბირზე სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ და ეკონომიკური ბლოკის მინისტრებმა კიდევ ერთხელ განიხილეს 2003 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები. ჯორბენაძე ცალსახად აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით არ დაამტკიცა, თავისი პარამეტრებითა და პრიორიტეტებით საკმაოდ ამბიციურია და შესაძლებლობების მაქსიმუმს ითვალისწინებს. სახელმწიფო მინისტრმა დიდი იმედი გამოთქვა, რომ იანვარში პარლამენტი ბიუჯეტს დაამტკიცებს.

ჯორბენაძის განცხადებით, 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში უმთავრესი პრიორიტეტებია: თავდაცვა, ენერგეტიკა, სოციალური სფერო და განათლება. მომავალ წელს სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების ფინანსური უზრუნველყოფისათვის დაფინანსება 60 პროცენტით გაიზრდება. სახელმწიფო მინისტრის აზრით, დაფინანსების გაზრდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილის განსახორციელებლად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. 2003 წელს ასევე დიდი ყურადღება დაეთმობა ენერგეტიკული პრობლემების მოგვარებას. სახელმწიფო მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისელებისთვის ელექტროენერგიის გაძვირებული ტარიფის საკომპენსაციო თანხები ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ელექტროენერგიის საფასურის დასაფარად სპეციალური ტრანსფერი გამოეყოფა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ინვალიდებსა და ვეტერანებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მოსკოვის მიერ პოზიციის შეცვლა მოსალოდნელი არ არის

რუსუდან ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის საგარეოპოლიტიკურმა უწყებამ მიმავალი წლის უკანასკნელ ოფიციალურ განცხადებაში გაკვირვება გამოხატა აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე თბილისის მძაფრი რეაქციის გამო.

**"რუსეთის ფედერაცია პატივისცემით ეკიდება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს... რუსეთი, კონფლიქტის დარგულირების ხელშემწყობი მხარის სახით, მიზანმიმართულ და თანამიმდევრულ ნაბიჯებს დგამდა აფხაზეთის მრავალეროვნული მოსახლეობის უფლებებისა და მისი სახელმწიფოებრიობის უზრუნველსაყოფად,"** - ნათქვამია განცხადებაში, - **"რუსეთი გაუნუხრელად შეასრულებს დსთ-ს ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს, სოხუმის ხელისუფლებასთან და სახელმწიფოებრივ ორგანოებთან კონტაქტების შეზღუდვის ჩათვლით".**

**"რაც შეეხება აფხაზეთის მონაკვეთზე საზღვრის გადაკვეთის რეჟიმს, მხედველობაშია მისაღები, რომ რუსეთს აფხაზეთთან სრული ბლოკადა არასოდეს დაუწესებია, მით უფრო - ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მრეწველებთან, კომერციულ ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაკვირვებას გამოხატავს თბილისის პოზიციისადმი, როცა იგი, აფხაზეთის მოსახლეობის სრული იზოლაციის მიზნით, დრაკონული ღონისძიებების გატარებას ითხოვს. ასეთი მიდგომა სპობს**

გაგრძელება A4 გვერდზე

### — საზოგადოება —

## სემეკი პასუხისმგებლობას იხსნის, თელასი კომენტარს არ აკეთებს

გასული წლის მიწურულს, 30 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლეიბორისტული პარტიის კიდევ ერთი სარჩელი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა ელექტროენერგიაზე ფიქსირებული გადასახადი, საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას კი (სემეკი) წინადადება მიეცა, მიმდინარე წლის მარტამდე გადახედოს და შეამციროს ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფი. სემეკის შარშანდელი დადგენილებით, უკვე ორი თვეა, თბილისელები ყოველ მოხმარებულ კილოვატსაათზე 13,7 თეთრს იხდიან.

A2

### — ამინდი —

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | |
| ქუთაისი | 12 | |
| ბათუმი | 13 | |
| სოხუმი | 10 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 9 | |
| ზუგდიდი | 11 | |
| გორი | 7 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1119 |
| ევრო | 2.1928 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3826 |
| რუბლი | 0.0664 |

## რუსეთმა ჩეჩნეთიდან ეუთო-ს მისია გააძევა

შოთა უტიაშვილი

გასული წლის 31 დეკემბერს ჩეჩნეთში მოქმედ ეუთო-ს მისიას მოქმედების ვადა ამოეწურა. რუსეთის ხელისუფლებამ მის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. მისია ჩეჩნეთს მარტის თვეში დატოვებს.

ეუთოს მისია ჩეჩნეთში 1995 წლიდან მოქმედებდა. მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობისათვის თვალყურის დევნება, ეკონომიკურ რეაბილიტაციაში მონაწილეობა და საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების განაწილება.

მისიის გაგრძელების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებზე რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ ეუთო-ს წარმომადგენლებს იმ პირობით დატოვებდა, თუ ისინი მხოლოდ ჰუმანიტარული საქმიანობით შემოიფარგლებოდნენ, რაზეც ეუთომ უარით უპასუხა.

უთანხმოება რუსეთსა და ეუთოს მისიას შორის ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო, როდესაც ეუთომ ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების დამოუკიდებელი გამოძიება მოითხოვა. ეუთოს გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება ყველა, 55 წევრის ხმა. მაშინ, რუსეთის ვეტოს გამო, ეს გადაწვეტილება ჩავარდა, მაგრამ ეუთოს თავმჯდომარემ ბენიტა ფერერო-ვალდნერმა თავის პირად განცხადებაში მაინც დაგმო ჩეჩნეთში რუსების ქმედებები. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი მაშინ აცხადებდა, რომ ეუთო ყველაფერს აზვიადებს და მეტისმეტად უკირკიტებს ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ქვიშის კარიერის დაკარისტები

A6



REUTERS

*პარიზი-დაკარის ერთ-ერთი ლიდერი კენჯირო შინოზუკა.*

## ხელშეკრულების ამოქმედებას რუსეთი უკვე გამოეხმაურა

2003 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ხელშეკრულება “შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის ნდობისა და სამხედრო-საზღვაო სფეროში უსაფრთხოების გაღრმავების შესახებ”.

შეგახსენებთ, რომ დოკუმენტი გასული წლის აპრილში იქნა მიღებული და მას ხელს ექვსი სახელმწიფოს – რუსეთის, საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთისა და უკრაინის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

საქართველოს ოფიციალური წრეები ჯერ არ გამოხმაურებიან ამ ფაქტს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი უკვე ოფიციალურ კომენტარს აკეთებს და ამ ხელშეკრულების ამოქმედებას “დადებით მოვლენად” აფასებს.

**“სამხედრო შეიარაღების კონტროლის სფეროში პირველად მოხდა, რომ ერთი რეგიონის სახელმწიფოებმა ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს”,** – ასეთია რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური პოზიცია. სამინისტროს განცხადებით, პირველი იანვირიდან ექვსივე სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული იქნება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების შემდგომი გარღმავებისა და რეგიონში სტაბილურობისა და ნდობის გამყარებისაკენ.

ხელშეკრულება ითვალისწინებს სახელმწიფოებს შორის ინფორმაციების გაცვლას საკუთარი სამხედრო-საზღვაო ძალების რაოდენობისა და შემადგენლობის თაობაზე. ექვსივე ქვეყანამ წინასწარ უნდა აცნობოს ერთმანეთს შავ ზღვაზე მასშტაბური სამხედრო სწავლებების დაგეგმვის თაობაზე და ა.შ.

*“24 საათი”*

A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ინფორმაცია A5 კულტურა A6 სპორტი A7 "ხალხის პირისპირ" - ანკეტა A8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის წევრი ელენე თევდორაძე აფხაზეთში რუსეთის მოქალაქის პასპორტების გაცემას გააპროტესტებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, რომელიც იანვრის ბოლოს გაიმართება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქის პასპორტების გაცემას სოჭის მილიციის სამმართველოს საპასპორტო განყოფილება 8 იანვარს დაიწყებს. ამის შესახებ სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყარო იტყობინება. იმავე წყაროს ცნობით, აფხაზეთის მოსახლეობის 70-80 პროცენტს უკვე დაწერილი აქვს განცხადება რუსეთის მოქალაქეობის მიღების თაობაზე. განცხადებები მათ სოხუმში მოქმედი რუსული სათვისტომოების კონგრესის "Славянский дом" ოფისში 2002 წლის ზაფხულში ჩააბარეს.

აფხაზური მთავრობის წევრთა უმეტესობას რუსეთის მოქალაქეობა უკვე მიღებული აქვს. რუსეთის მოქალაქეები არიან ახლადდანიშნული პრემიერი გენადი გაგულია, შს მინისტრი ასლანბეი ქჩაჩი, უშიშროების მინისტრი ზურაბ აგუმავა, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და მთავრობის ახალი შემადგენლობის სხვა წევრები. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული მხარის პროტესტის მიუხედავად, მოძრაობა სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე არ შეწყვეტილა. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, სარკინიგზო მოძრაობა რეისით სოჭი-სოხუმი-სოჭი 25 დეკემბრის შემდეგ ხორციელდება და მის უსაფრთხოებას სოხუმის ხელისუფლების უშიშროებისა და შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები უზრუნველყოფენ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 2-4 იანვარს დანიშნული კოდორის ხეობის ერთობლივი პატრულირება 8-14 იანვარს ჩატარდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს 4 იანვარს 70 წელი შეუსრულდება. იუბილეს აღსანიშნავად ხვალ სიონის საკათედრო ტაძარში ლოცვა აღევლინება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარე გივი ლომინაძე კრემლს "საქართველოს სუვერენიტეტის ბანდიტურ და ყაჩაღურ ხელყოფაში" ადანაშაულებს. "რუსეთის მიერ აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქის პასპორტების გაცემა იმის დასტურია, რომ მოსკოვი არაფრად აგდებს საერთაშორისო სამართალსა და ხელშეკრულებებს, უსირცხვილოდ და უნამუსოდ ახორციელებს საქართველოს ტერიტორიის ანექსიას," - განაცხადა ლომინაძემ. მისივე შეფასებით, მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე რუსეთის ამგვარი მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო დონეზე "ბანდიტიზმი და ყაჩაღობა", რომლის მიზანს აფხაზეთში რუსეთის პოზიციების გამყარება წარმოადგენს. გივი ლომინაძე საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურებისკენ მოუწოდებს და შეახსენებს, რომ საქართველოს შეუძლია, ხელი შეუშალოს რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, რითიც რუსეთში მოქმედი ჯანსაღი პოლიტიკური წრეების ყურადღებას მიიქცევს. **ინტერ-პრესი.**

GSM
24 საათი
ჯეოსელი და გაზეთი "24 საათი" მადლობას გიხდით ჩვენს აქციაში მონაწილეობისათვის
ჯეოსელის დილერები და დისტრიბუტორები ქუპონებს გადაგიცვლიან 2003 წლის 18 იანვრამდე

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.
ხალხის პირისპირ
მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).
ინსტრუქცია კითხვის შედგენისთვის:
შეკითხვის ტექსტი:
პასუხის ტექსტი:
სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:
თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.
ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## პროგნოზები

# რა იქნება 2003 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში?

**მიხეილ მაჭავარიანი,** "გაერთიანებული დემოკრატები":



"დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია ("დემოკრატები", "ნაციონალები" და ის ძალები, რომლებიც ოპოზიციასთან თანამშრომლობენ), აუცილებლად გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში. ხელისუფლება ისე იქცევა, მგონი, თავადაც დაგვეხმარება ამ საქმეში."

**კობა დავითაშვილი,** "ნაციონალური მოძრაობა":



"მიჭირს რაიმეს თქმა. ახლა სუფრასთან ვზივარ და მაგ თემაზე ფიქრს ვერ ვახერხებ."

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია,** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე:



"ამ წელს გადანაწილდება პოლიტიკური ძალები, მაგრამ ეს არ იქნება საბოლოო გადანაწილება. ჩემი აზრით, 2003 წელს რეალურად დადგება გარდამავალი პერიოდი. რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური პარტია საერთო ენას გამონახავს. სავარაუდოდ, ესენი იქნებიან მემარჯვენე ორიენტაციის ძალები. ამ პარტიებს შორის მიღწეული იქნება სოლიდარობის პრინციპი, როცა ისინი, საკუთარ უფლებებთან ერთად, კონკურენტების უფლებების დაცვასაც შეძლებენ.

ვიმეორებ, ეს წელიწადი საბოლოო პოლიტიკურ სურათს ვერ შექმნის, რადგან ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის ამ არჩევნებში მთავარი იქნება ხელისუფლებაში მოსვლა და არა გამარჯვება."

**გია ჟესაშვილი,** ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:



"ბედობის დღეს რა უნდა ვთქვა? ალბათ, ყველაფერი კარგად იქნება... შეიცვლება თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია? – ეს შეკითხვა პარლამენტარებს უნდა დაუსვათ. ჩემი აზრით, ცესკო-ს შემადგენლობა უნდა შეიცვალოს. ვერაფერს გეტყვით, რამდენად მოხერხდება ეს წლევანდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის."

**ზვიად ძიძიგური,** "ნაციონალური მოძრაობა":



"2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიცია (დღევანდელთან შედარებით) გაცილებით უფრო გაძლიერდება."

**დავით გამყრელიძე,** "ახალი მემარჯვენეები":



"ამ წელს უნდა ჩატარდეს ბოლო პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები. ვისურვებდი, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს. თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, ოპოზიცია უმრავლესობაში მოვა."

**ზურაბ ჭიაბერაშვილი,** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" დირექტორი:



"რასაკვირველია, ყველაზე მთავარი საპარლამენტო არჩევნები იქნება. საარჩევნო ადმინისტრაცია შეიცვლება. თუ პროფესიული ცესკო არ გვეყოლება, ძველი შემადგენლობა მაინც შეიცვლება. არჩევნებში დაახლოებით საკრებულოს მსგავს შედეგებს მივიღებთ, თუ რაიმე სერიოზული რყევები არ მოხდა - მხედველობაში მაქვს შევარდნაძის მიერ აფხაზეთის თემით მანიპულირება. გაზაფხულ-ზაფხულისთვის მოსალოდნელია, რომ დასავლეთმა რუსეთი დაითანხმოს საიმისოდ, რათა აფხაზეთის პრობლემა ადგილიდან დაიძრას. ეს არანაირად არ იქნება შევარდნაძის დამსახურება, მაგრამ იგი ამას მაინც გამოიყენებს რეიტინგის ასამაღლებლად. ვიმეორებ, სხვა შემთხვევაში საპარლამენტო არჩევნების შედეგები ისეთივე იქნება, როგორც ადგილობრივი არჩევნებისას."

**გია ნოდია,** მშვიდობის და დემოკრატიის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი:



"2003 წელი, ბუნებრივია, საპარლამენტო არჩევნებით იქნება მნიშვნელოვანი. მთავარია, ვინ რას მიაღწევს ამ არჩევნებში, რომელსაც, შესაძლოა, მოჰყვეს განსაკუთრებულად მძაფრი დაპირისპირება, ძალადობა. ამგვარ შიშს თვით ხელისუფლების წარმომადგენლებიც გამოხატავენ. ერთი სიტყვით, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ყველაფერი იმის მიხედვით გადაწყდება, თუ როგორი იქნება პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი."

**ზურაბ ტყემალაძე,** ფრაქცია "მრეწველები":



"ამ წელს გადამწყვეტი იქნება საპარლამენტო არჩევნები. მის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული საპრეზიდენტო არჩევნების ბედი. სამწუხაროდ, წელს საპარლამენტო არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერაფერს ვხედავ. შორეულ პერსპექტივად რჩება აფხაზეთის დაბრუნება და კიდევ მრავალი სხვა საჭირბოროტო პრობლემის მოგვარება."

## ეკონომიკა

# მთავრობას ბიუჯეტის დამტკიცების იმედი აქვს

პირველი გვერდიდან

თათბირზე დეკემბრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა. მისი განცხადებით, ბოლო თვის ბიუჯეტი გადაჭარბებითაა შესრულებული. ფინანსთა მინისტრმა ხაზგასმით მიუთითა, რომ 2002 წელს განსაკუთრებული წინსვლა იყო საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების პარამეტრების შესრულების მხრივ. სახელმწიფო მინისტრს მიაჩნია, რომ ამ წარმატების მიზეზი ადმინისტრირების გაუმჯობესება გახლდათ, რისთვისაც მან მადლობა გადაუხადა ფინანსთა მინისტრსა და მის მოადგილეებს. ჯორბენაძის განცხადებით, ბიუჯეტის პრობლემად კვლავ რჩება არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრების შესრულება; მათ შორის, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თანხები და აჭარიდან გადმოურიცხავი საბაჟო და საგადასახადო შემოსავლები. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, 2003 წელს დიდი ყურადღება დაეთმობა სწორედ ამ საკითხების გადაჭრას. ჯორბენაძე საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ 2003 წელს საქართველოს მთავრობის მუშაობა გაცილებით ეფექტური იქნება. სახელმწიფო მინისტრმა არარეალური უწოდა "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივას მინიმალური ხელფასის 20-დან 115 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მომავალ წელს მინიმალური ხელფასის მხოლოდ 35 ლარამდე გაზრდაა შესაძლებელი.

სახელმწიფო მინისტრთან გამართული თათბირის შემდეგ შეხვედრა შედგა პრეზიდენტთანაც. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი ამბობს, ბიუჯეტის პარამეტრები დაახლოებით იგივე დარჩება. მიუხედავად ამისა, მთავრობას იმედი აქვს, რომ პარლამენტი ამჯერად ბიუჯეტს დაამტკიცებს, რადგან **"უბიუჯეტოდ ყოფნა არ შეიძლება; შეყოვნდა მთელი რიგი სოციალური პროგრამების განხორციელება, რისი დაფინანსებაც იანვრიდან უნდა დაწყებულიყო."**

მომავალ კვირას მთავრობა პარლამენტს წარუდგენს 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს. რამდენად საფუძვლიანია აღმასრულებელი ხელისუფლების ოპტიმიზმი, ეს კენჭისყრის დროს გამოჩნდება.

# 2003 - „თოფაძის ბარკლებიდან" სახელმწიფო ბიუჯეტამდე, საგადასახადო კოდექსის გავლით

პირველი გვერდიდან

აჭარასთან ურთიერთობის საბოლოო გადაწყვეტა, რადგან ამის გარეშე მიმდინარე წელსაც ბიუჯეტი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. აღნიშნული საკითხების მოგვარების გარდა, გიგოლაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტრო სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების განხორციელებასაც გეგმავს; კერძოდ - ადმინისტრირების დონის ამაღლებას, რეფორმების გატარებასა და ვალების რესტრუქტურიზების საკითხის დასრულებას.

2003 წელს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მთავარ მიზანს, მინისტრის - გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, წარმოადგენს ქვეყნის მთავარი ეკონომიკური განაცხადის შესაბამისი ინდიკატური გეგმის შემუშავება. სამინისტრომ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მიმართულებები და პრიორიტეტები. **"აქცენტი გაკეთებული იქნება ეკონომიკურ ზრდაზე. ჩვენ ძირითადი მიმართულებები უნდა განვსაზღვროთ. თამაშის წესები შემუშავებულია; უბრალოდ, საჭიროა, რომ ყველა მოთამაშემ თამაშის წესები დაიცვას",** - განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ. მისი თქმით, ქვეყნის ეკონომიკისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამინისტროებისა და სახელმწიფო მოსამსახურეების რაოდენობის შემცირება, რაც ხელს შეუწყობს მართვის ოპტიმიზებას.

ისაკაძე-გიგოლაშვილისგან განსხვავებულ ეკონომიკურ პრიორიტეტზე საუბრობს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილია. მისი თქმით, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ 2003 წელს საბოლოოდ დამტკიცდეს, ოფიციალური სახე მიიღოს და პრაქტიკული განხორციელება დაიწყოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამამ.

მიმდინარე წელს "იმედის თვალით" უყურებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილიც. 2003 წელს, თბილისში, პირველად გაიმართება ტრასეკა-ს მონაწილე 12 ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა. ადეიშვილის თქმით, ეს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის მთლიანი მუშაობის შეჯამებაა. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო ასევე გეგმავს, რომ შემოსავლების ნაწილში 250 მილიონს გადააჭარბოს.

"გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" უცხოელებზე მენეჯმენტით გადაცემას და იმერეთში არსებული 5 ჰიდროელექტროსადგურის (მათ შორის - რიონჰესის, შაორჰესის, გუმათჰესის) პრივატიზებას გეგმავს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თქმით, ენგურის პროექტზე ევრობანკი და "სიმენსი" 39 მილიონი დოლარის ღირებულების სამუშაოებს ჩაატარებენ.

2003 წელს სააგენტოდ გადაკეთდება ქონების მართვის სამინისტრო, რომლის ფუნქციაც საწარმოების მართვა იქნება. სააგენტოს მფლობელობაში ასევე დარჩება დივიდენდების ნაწილი. ამის შესახებ "24 საათს" ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ ზურაბ გარაყანიძემ აცნობა.

კლანურ ბიზნესთან შებრძოლებასა და მის დაშლას, ახალი მონოპოლისტების გამოვლენას, ბაზრებზე შექმნილი ბარიერების შესწავლასა და დემპინგური ფასის შესახებ კანონპროექტის შემუშავებას გეგმავს ანტიმონოპოლიური სამსახური.

რა გეგმები აქვთ კანონმდებლებს?

**"საგადასახადო კოდექსი პარლამენტში უკვე შეტანილი გვაქვს. ვგეგმავთ, რომ საგაზაფხულო სესიაზე აქტიური განხილვა დაიწყოს",** - განაცხადა ფრაქცია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრმა ზურაბ ტყემალაძემ.

კოლეგებისთვის საკუთარი ინიციატივების შეხსენებას აპირებს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი მიხეილ მაჭავარიანიც. **"მინიმალური ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით ჩემი ინიციატივა კიდევ უნდა შევახსენო ჩემს კოლეგებს და დავუმტკიცო, რომ შეცდნენ, როცა უგულებელყვეს ეს იდეა",** - განაცხადა მაჭავარიანმა. "დემოკრატები" მიმდინარე წელს ასევე გეგმავენ ბრუნვის გადასახადის შემოღებას, რაც ზურაბ ნოღაიდელის იდეაა.

ყველაზე პესიმისტური პროგნოზი მაჟორიტარმა დეპუტატმა ნიკო ლეკიშვილმა გააკეთა.

**"მომავალ წელს განსაკუთრებული არაფერი მოხდება, რადგან ამისათვის ვერ ვხედავ პოლიტიკურ ნებას. მთავარი 2003 წლისთვის იქნება არჩევნებისთვის მზადება და ამასთან დაკავშირებული პოლიტიკური ვნებათაღელვა. არჩევნების შემდეგ იმედი მაქვს, რომ შეიძლება რაიმე კონკრეტული, სერიოზული გაკეთდეს ჩვენი ქვეყნისათვის. თუმცა, მომავალი წელიც რთული იქნება. დღეს ყველას აინტერესებს პოლიტიკა და ნაკლებად - ეკონომიკა",** - ასე განმარტა თავისი პოზიცია ლეკიშვილმა.

"ახალი მემარჯვენეები" მარტის დასაწყისში უკვე დაამთავრებენ საქართველოს ეკონომიკური აღორძინების პროგრამას სახელწოდებით "200+500 დღე", რომელიც, ლევან გაჩეჩილაძის თქმით, მოიცავს "მემარჯვენეების" სამოქმედო ეკონომიკურ პროგრამას იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოვლენ ხელისუფლებაში.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე ოპტიმისტურად 2003 წელს მსხვილი ბიზნესმენები უყურებენ. ისინი მომხმარებელს ახალ ნატურალურ და მაღალხარისხიან პროდუქციას ჰპირდებიან. **"2003 წელს ვაპირებთ დამატებითი პუნქტების გახსნას, რაც ნატურალური რძის შემოდინებას გაზრდის და საშუალებას მოგვცემს, რომ პრაქტიკულად 90-95 პროცენტით მაინც გადავიდეთ ნატურალურ რძეზე",** - განაცხადა "სანტეს" გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი ბახტაძემ.

ახალ პროდუქციას შესთავაზებს მომხმარებელს გოგი თოფაძე. დეპუტატი ბიზნესმენი 2003 წელს თანამემამულეებს მეგრულ სიმინდზე გაზრდილ იმერულ ვარიებს სთავაზობს. თოფაძის თქმით, ეს ვარია "ბუშის ბარკლებისგან" მნიშვნელოვნად განსხვავდება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;
- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

## ჯეოსელმა დაარსა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდი?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

საზოგადოება

# სემეკი პასუხისმგებლობას იხსნის, თელასი კომენტარს არ აკეთებს

## ელექტროენერგიის ტარიფი კი სამ თვეში უნდა შემცირდეს

მაკა ჭაიანი

*გასული წლის მიწურულს, 30 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლეიბორისტული პარტიის კიდევ ერთი სარჩელი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა ელექტროენერგიაზე ფიქსირებული გადასახადი, საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას კი (სემეკი) წინადადება მიეცა, მიმდინარე წლის მარტამდე გადახედოს და შეამციროს ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფი. სემეკის შარშანდელი დადგენილებით, უკვე ორი თვეა, თბილისელები ყოველ მოხმარებულ კილოვატსაათზე 13,7 თეთრს იხდიან.*

კიდევ, მინიმუმ, ორი თვის განმავლობაში დედაქალაქის მკვიდრთ ამავე ტარიფით მოუწევთ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის დაანგარიშება. თუ სემეკი და "ეი-ი-ეს თელასი" ტარიფის შემცირებაზე შეთანხმდნენ, ოთხი თვის განმავლობაში გადახდილი ზედმეტი თანხა მოსახლეობას დეპოზიტზე ჩაეთვლება და მომავალი გადახდებისას გაექვთება. "თუ" იმიტომ, რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ამგვარი შეთანხმების მიღწევა სემეკში ძალიან აეჭვებთ.

**"თელასთან არსებული ხელშეკრულებით, ტარიფის შემცირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია,** - აცხადებს სემეკის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი თამარ ნოსელიძე. - **თუკი თელასი თავად არ შემოიტანს განაცხადს, ჩვენ მოქმედი ტარიფის გადახედვის უფლება არ გვაქვს. რა თქმა უნდა, 13,7 თეთრი კილოვატსაათზე, ჩვენი სოციალური ფონის გათვალისწინებით, მაღალი გადასახადია, მაგრამ თელასმა ტარიფის 2,86 თეთრით მომატების განაცხადი შემოიტანა. ჩვენ მისი შემცირება მოვახერხეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, მინიმალურად დაბალი ტარიფი დავტოვეთ. ახლა რა იქნება, არ ვიცით."**

განსაკუთრებულ შეშფოთებას სემეკში ფიქსირებული გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით გამოხატავენ. ამ გზით ანგარისშწორება ახალი მრიცხველის გარეშე დარჩენილ მომხმარებელთან ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის კონგრესმა "ეი-ი-ეს კორპორაციას" გამრიცხველიანების დასასრულებლად 9,2 მილიონიანი გრანტი გამოუყო, თბილისში არსებობს უბნები, სადაც ახალი მრიცხველები ჯერ კიდევ არ არის დამონტაჟებული. ამას როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები აქვს, თუმცა სემეკში ამბობენ, რომ, რადგან თელასი ვერანაირად ველარ შეძლებს უმრიცხველო აბონენტებისგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას, შეიძლება, მათ, უბრალოდ, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტოს.

თბილისის გამრიცხველიანება 2003 წლის გაზაფხულისთვის უნდა დასრულდეს. როგორ დარეგულირდება იქამდე ურთიერთობა თელასსა და უმრიცხველო აბონენტებს შორის, გაურკვეველია. კომენტარს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და მისგან გამომდინარე შედეგებთან დაკავშირებით, "ეი-ი-ეს თელასში" ჯერ არ აკეთებენ. სემეკში, სადაც კარგად ესმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, აცხადებენ, რომ გართულებების შემთხვევაში პასუხისმგებლობას თავიდან იხსნიან. გართულებად კი თელასის მიერ ინგლისის არბიტრაჟში საჩივარის შეტანაც შეიძლება ჩაითვალოს.

საგარეო

# ჩრდილოეთ კორეას ამერიკასთან თავდაუსხმელობის პაქტის დადება სურს

პარასკევს ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სურს შეერთებულ შტატებთან და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან თავისი ბირთვული პროგრამების განხილვა. ფხენიანის თქმით, მხოლოდ ამერიკასთან თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმებას შეუძლია არსებული კრიზისის განმუხტვა.

ჩრდილოეთ კორეის ელჩმა ჩინეთში ჩო ძინ სუმ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე ვაშინგტონს აგრესიის მცდელობაში დასდო ბრალი და განაცხადა, რომ ფხენიანის მიერ ბირთვული პროგრამების განახლება მხოლოდ თავდაცვისათვის არის გამიზნული.

"როდესაც ორივე გუნდი ერთად დასხდება, მხოლოდ მაშინ შეიძლება შედგეს დიალოგი. დიალოგის გარეშე კი საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტაზე საუბარი შეუძლებელია", - განაცხადა მან. ელჩს არ დავიწყებია ჩრდილოეთ კორეის "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორის მოხსენიებისთვის ვაშინგტონის გაკიცხვა. ძინ სუს მტკიცებით, შეერთებულ შტატებს ბირთვულ სამიზნეებს შორის ფხენიანიც ჰყავს შეყვანილი.

"თუ შეერთებული შტატები უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემს და თავდაუსხმელობის პაქტს დაგვიდებს, მაშინ კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული პრობლემა საბოლოოდ მოგვარებული იქნება", - დასძინა მან.

ჩოს თქმით, ეს საკითხი უახლოეს მომავალში უნდა იქნეს განხილული. "თუ დრო შესაძლებლობას მოგვცემს, ამ საკითხს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთანაც შევათანხმებთ".


REUTERS
*ჩო ძინ სუ პრესკონფერენციაზე ჩინეთში.*

ოქტომბერში ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული პროგრამების განახლება აღიარა. ვაშინგტონმა კი გადაჭრით განაცხადა, რომ ის ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებებს არ დაიწყებს და ფხენიანს ნავთობის მიწოდება შეუწყვიტა.

ფხენიანმა ვაშინგტონთან უშუალო მოლაპარაკებების გამართვა მოითხოვა, გაერო-ს ინსპექტორები ქვეყნიდან გააძევა და განაცხადა, რომ გაუქმებულად მიიჩნევს 1994 წელს ამერიკასთან საგანგებოდ გაფორმებულ ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

აღნიშნულმა ვითარებამ სამხრეთ კორეის უკიდურესი შეშფოთება გამოიწვია. სეულს დაძაბულობის განმუხტვა ჩინეთისა და რუსეთის დახმარებით სურს. "ჩვენ განსაკუთრებით ვთხოვთ რუსეთის მთავრობას, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება დაარწმუნოს, რათა მოლაპარაკებები დაიწყოს და პრობლემა მშვიდობიანად მოვაგვაროთ", - უთხრა "როიტერის" კორესპონდენტს რუსეთში სამხრეთ კორეის საელჩოს თანამშრომელმა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯეიმს კელის ცნობით, ვაშინგტონში ორშაბათს დაგეგმილია შეერთებული შტატების, სამხრეთ კორეისა და იაპონიის წარმომადგენლების შეხვედრა. თუმცა, მანამდე მოლაპარაკებები მოსკოვში გაიმართება.

ექსპერტების აზრით, მოსკოვის დიპლომატიურ ჩარევას სერიოზული გარდატეხის შეტანა შეუძლია, რადგან დღემდე მოსკოვს ფხენიანთანაც და სეულთანაც კარგი ურთიერთობები აქვს. რუსეთი ორივე ხელისუფლებისგან ნდობით სარგებლობს, რასაც დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

# მოსკოვის მიერ პოზიციის შეცვლა მოსალოდნელი არ არის

პირველი გვერდიდან

**აფხაზეთის ხელისუფლების ნდობას საქართველოს ხელმძღვანელობისადმი და ჩიხში შეჰყავს დარეგულირების პროცესი".**

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მოსკოვი კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის პოლიტიკური დიალოგისათვის წანამძღვრებსა და კეთილისმყოფელ ატმოსფეროს ქმნის, ანუ მხარეთა ნდობის აღდგენაზე მუშაობს: **"სწორედ ასეთ კონტექსტში უნდა განგვეხილა სამეურნეო სუბიექტებს შორის რუსეთ-აფხაზეთის კონტაქტები, სოჭი-სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ჩათვლით, რაც ამ მაგისტრალზე თბილისამდე და შემდეგ სომხეთის მიმართულებით თავისუფალი მოძრაობის გასახსნელად მიმართულ მუშაობად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა"**. ამაში კი, რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების აზრით, დაინტერესებულია არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობა.

მეორე საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ასევე ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე გაავრცელა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, იყო ჩეჩნეთში ეუთო-ს თანადგომის ჯგუფის ოფისის დახურვაზე მიღებული გადაწყვეტილების კომენტარი.

სააგენტო "რია-ნოვოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი აცხადებს, რომ რუსეთი მუდამ ღია იყო ჩეჩნურ თემატიკაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, რაც ჩეჩნეთში სიტუაციის გართულების ყველაზე რთულ პერიოდებშიც ხდებოდა. **"ამ ხაზს არც ახლა გადავუხვევთ, ხოლო რაც შეეხება ეუთო-ს თანადგომის ჯგუფს, როგორც ცნობილია, იგი 1995 წელს დაარსდა. მას შემდეგ ჩეჩნეთში სიტუაცია თვისებრივად შეიცვალა. ბოევიკთა ტერორისტული მოღვაწეობის მიუხედავად, ჩეჩნეთის მიწაზე მშვიდობიანი ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება, ცოცხლდება ეკონომიკა და ფედერალური სტრუქტურები, სრულდება ჩეჩნეთის კონსტიტუციაზე მუშაობა, მიმდინარეობს რეფერენდუმისათვის სამზადისი",** - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვნელი სინანულით აღნიშნავს, რომ ყველა მათი პარტნიორი არ აღმოჩნდა მზად სიტუაციის ადექვატურად შესაფასებლად, ჩეჩნეთში შექმნილი ახალი რეალიების სრულად გასააზრებლად. **"ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენ 31 დეკემბრამდე ვერ მოვახერხეთ ეუთო-ს ჯგუფის ახალი მანდატის შეთანხმება, რის შედეგადაც 2003 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა არსებობა შეწყვტა",** - ამბობს ივანოვი. მინისტრი ხაზს უსვამს, რომ ამ ჯგუფის მუშაობის შეწყვეტა არ ნიშნავს ეუთო-სთან რუსეთის თანამშრომლობის ავტომატურ დასრულებას. ივანოვის უწყება პრიორიტეტს ანიჭებს ეუთო-ს ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანთა უფლებების დემოკრატიული ინსტიტუტის ბიურო.

გასული წლის ეს ბოლო დოკუმენტები ნათლად მიანიშნებს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მომავალ წელს არც შეფასებათა მეთოდოლოგიის გადასინჯვას აპირებს და არც სულისკვეთებას შეიცვლის. ამიტომ, ცხადია, პრობლემების გადასაჭრელად საქართველოს დიპლომატიამ ახალი გზები და ახალი პარტნიორები გაძლიერებული აქტივობით უნდა ეძიოს.

# რუსეთმა ჩეჩნეთიდან ეუთო-ს მისია გააძევა

პირველი გვერდიდან

ის, რაც ეუთო-სთვის ადამიანის უფლებათა დარღვევას წარმოადგენდა, რუსეთი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლად მიიჩნევდა.

რუსეთსა და ეუთო-ს შორის შეხლა-შემოხლა გასულ წელსაც გაგრძელდა, ოღონდ უკვე სხვა თემის ირგვლივ. მაშინ ეუთო-მ პირველმა დააფიქსირა რუსების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტი.

31 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებაში ივანოვმა აღნიშნა, რომ ეუთო-მ ვერ შეძლო ჩეჩნეთში ახალი რეალობის დანახვა. ახალი რეალობა კი, მისი აზრით, ისაა, რომ ჩეჩნეთში ლტოლვილები ბრუნდებიან და ცხოვრება ნელ-ნელა ნორმალურ რიტმში ჯდება (ნორდ-ოსტის ტრაგედია და ჩეჩნეთის მთავრობის სახლის აფეთქება, როგორც ჩანს, ამ ახალი რეალობის ნაწილია).

რაც შეეხება თავად ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობას, მას განსაკუთრებული აღშფოთება მისიის წასვლის გამო არ გამოუთქვამს. მასხადოვის წარმომადგენლების თქმით, მთელი მისია თავის მოტყუება იყო, რადგან ეუთო ჩეჩნების საჩივრებს ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე, როგორც წესი, უყურადღებოდ ტოვებდა. ის ფაქტი, რომ მისიას სულ 6 თანამშრომელი ჰყავდა და რუსული სპეცდანიშნულების ნაწილებით იყო გარე სამყაროსგან იზოლირებული, მართლაც გვაფიქრებინებს, რომ მისია განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდა. თუმცა, იგი საერთაშორისო საზოგადოების ერთადერთი "თვალი და ყური" იყო ჩეჩნეთში. მისმა დახურვამ ეუთო-ს წევრი ქვეყნების (განსაკუთრებით, აშშ-სა და გერმანიის) და ევროკავშირის პროტესტი გამოიწვია.

სამართალი

# არც ისე მშვიდი ახალი წელი

ქართველ სამართალდამცველებს მიაჩნიათ, რომ კრიმინალური თვალსაზრისით ახალი წლის დღეებმა მეტნაკლებად მშვიდად ჩაიარა. როგორც ჩანს, ისინი მეტს ელოდნენ, თორემ ორიოდ დღეში რამდენიმე მკვლელობა, ყაჩაღობა და თუნდაც სიმთვრალის ნიადაგზე დაწყებული და სისხლისღვრით დასრულებული დანების ტრიალი, ბოლო ხანებში საქართველოში გართულებული კრიმინალური სიტუაციის ფონზეც კი ცოტა ნამდვილად არ გახლავთ.

ამ ახალ წლებზე განსაკუთრებით პოპულარული დანაშაული ტაქსების დაყაჩაღება ყოფილა. პოლიციამ მხოლოდ ერთი ასეთი ფაქტი გამოავლინა და დააკავა კიდეც წყალტუბოელი ვეფხია ცარიელაშვილი. იგი 1 იანვარს დილის 4 საათზე მოსკოვის გამზირზე თავს დაესხა კერძო ტაქსის მძღოლს ბორის ლეკიშვილს, დანის მუქარით 31 ლარი წაართვა და მანქანის გატაცებასაც ცდილობდა. თუმცა, თუ თავად ტაქსის მძღოლებს ვერწმუნებით, ასეთი შემთხვევები ახალი წლის წინა დღეებსა და ბოლო ორი დღის მანძილზე ხშირად ხდებოდა.

ახალი წლის პირველი დღეები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამართალდამცველთათვის. მარტო 1 იანვარს, გამთენიისას, ამ რაიონის მიდამოებში ორი კაცი დაჭრეს, 2 იანვარს კი აქ მკვლელობაც მოხდა. პოლიციას ჯერაც ვერ მიუგნია დამნაშავეებისთვის. დაზარალებულებს კი - სავანის ქუჩაზე, საკუთარ სახლთან დანით გულ-მკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიყენებულ დავით წიკლაურს და კინოთეატრ "საქართველოსთან" ასევე დანით გულში დაჭრილ მამუკა ტვილდიანს სამედიცინო დახმარება თბილისის მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში აღმოუჩინეს. 2 იანვარს ღამით კი მოულოდნელი თავდამსხმელის მიერ დანით ზურგში მიყენებულმა ჭრლობამ იმსხვერპლა ვახტანგ თანაშვილი. მისი რამდენიმე თანმხლების ნაამბობის მიხედვით, ქუჩაში მდგომთ ოჯახთან ერთად მოსეირნე მამაკაცი აუხირდათ. მათ შორის მომხდარი შელაპარაკება კი იმით დასრულდა, რომ ამ კაცმა მოულოდნელად ზურგში დანა დაარტყა თანაშვილს და ოჯახის წევრებთან, მათ შორის, მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, გაუჩინარდა.

# ერდოგანი კვიპროსის სასწრაფოდ გაერთიანებას ცდილობს

თურქეთის მმართველი პარტიის თავმჯდომარე რეჯებ ერდოგანი კვიპროსის კონფლიქტის სასწრაფოდ დარეგულირების ინიციატივით გამოვიდა. ერდოგანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო გეგმას დაუჭირა მხარი. როგორც ცნობილია, აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს, შვეიცარიის კონფედერაციის მოდელის საფუძველზე, ორ ნაწილად გაყოფილი კვიპროსის გაერთიანებას, რაც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ორი ავტონომიის არსებობას გულისხმობს. ერდოგანმა მკვეთრად გააკრიტიკა კვიპროსის თურქული თემის ლიდერი რაუფ დენქთაში, რადგანაც ეს უკანასკნელი კუნძულის ბერძნულ მმართველობასთან მოლაპარაკებების გამართვაზე უარს აცხადებს. **"ის ამბობს, რომ არ სჯერა მეორე მხარის. მაგრამ თუ არსებობს მოლაპარაკებების გამართვის საშუალება, ეს უნდა გაკეთდეს,"** - განაცხადა თურქეთის მმართველი პარტიის თავმჯდომარემ. აღსანიშნავია, რომ აქამდე ოფიციალური ანკარა კვიპროსელ თურქებს აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდა. მაგრამ ამჟამად ვითარება კარდინალურად შეიცვალა. თურქეთის ხელისუფლება დენქთაშის უკომპრომისო პოლიტიკას დაუპირისპირდა. ამის უპირველეს მიზეზს კი ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი წარმოადგენს, ხოლო ევროკავშირი ანკარას ავალდებულებს, რომ კვიპროსის კონფლიქტი მოაგვაროს. გარდა ამისა, ოფიციალურმა ბრიუსელმა კოპენჰაგენის სამიტზე ევროკავშირის რიგებში კვიპროსიც მიიწვია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კუნძულზე არსებული კრიზისი დარეგულირდება და ორ ნაწილად გახლეჩილი კვიპროსი ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. ეს კი ა.წ. თებერვლამდე უნდა განხორციელდეს. თუ ამ დროისათვის კვიპროსი კვლავ ორ ნაწილად იქნება გაყოფილი და დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთთან საერთო ენას ვერ გამონახავენ, ევროკავშირის წევრი მხოლოდ კვიპროსის ბერძნული ნაწილი გახდება.

ეს კი უარყოფით გავლენას იქონიებს თურქეთის პრესტიჟზეც, რადგან ჩრდილოეთ კვიპროსის თვითაღიარებული თურქული რესპუბლიკა ოფიციალურად მხოლოდ ანკარის მიერ არის ცნობილი და თურქეთი კვიპროსის კონფლიქტის ერთ-ერთ უმთავრეს მხარედ მიიჩნევა.

# დაუპატიჟებელ სტუმრებს გაუსწორდა

31 დეკემბერს საღამოს, ვეძისის დასახლებაში ორი შეიარაღებული ნიღბოსანი თავს დაესხა ვაკე-საბურთალოს საკუთრების დაცვის პოლიციის თანამშრომლის, ახმედ მამედოვის ოჯახს. ბოროტმოქმედებმა ოჯახის წევრები, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები, გაკოჭეს. ოჯახის უფროსმა ყაჩაღებს უთხრა, გულზე ჩამოკიდებულ ოქროს ყელსაბამს საკუთარი ხელით მოვიხსნიო; მათი ყურადღების მოდუნებით ისარგებლა და ჯიბიდან სატაბელო იარაღის ამოღება მოასწრო. რამდენიმე გასროლის შედეგად ერთი თავდამსხმელი ადგილზევე გარდაიცვალა, მეორე კი დაიჭრა და სამართალდამცველებმაც მისი დაკავება ადვილად შეძლეს.




# მშვიდობით



Pictures: Associated Press, Popperfoto © GRAPHIC NEWS

### 1. ჯეიმს კობურნი: გარდაიცვალა 18 ნოემბერს, 74 წლის

მსახიობმა, რომელიც, ძირითადად, "მაგარი ბიჭების" როლებს ასრულებდა, ვესტერნების მოყვარულებს კარგად დაამახსოვრა თავი. "შესანიშნავი შვიდეულიდან" თუ "დიდი გაქცევიდან" მას ყველა სცნობდა, თუმცა, კობურნმა "ოსკარი" მოგვიანებით მოიპოვა, ფილმში Affliction შესრულებული ავზნიანი მამის მეორეხარისხოვანი როლისთვის. მას პარტნიორობას ნიკ ნოლტი უწევდა.

### 2. ბილი უაილდერი: გარდაიცვალა 27 მარტს, 95 წლის

კინემატოგრაფის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეჟისორი, რომელმაც თავისი გამორჩეული სტილისა და სარდონიკული სცენარების წყალობით ექვსი "ოსკარი" მოიპოვა. მის საქვეყნოდ ცნობილი ფილმებიდან შეიძლება, გამოვყოთ: "სანსეტ ბულვარი", "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან", "ბინა"...

### 3. ლინდა ლავლეისი: გარდაიცვალა 22 აპრილს, 53 წლის

ნამდვილი სახელი ლინდა ბორმანი. სანამ უარს იტყოდა საკუთარ წარსულზე და პორნოგრაფიის წინააღმდეგ დაიწყებდა ბრძოლას, თამაშობდა სენტიმენტალურ ფილმში Deep Throat. ბორმანი მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც ოთხი ავტობიოგრაფია აქვთ დაწერილი. ის ავტოავარიაში დაიღუპა.

### 4. რიჩარდ ჰარისი: გარდაიცვალა 25 ოქტომბერს, 72 წლის

ლეგენდარული ჩხუბისთავი, მსმელი, მექალთანე, რომლის სკანდალური ისტორიებიც ხშირად მის სამსახიობო ნიჭს ჩრდილავდა კიდეც. ჰარისი ორჯერ გაკოტრდა, მაგრამ მოგვიანებით ქონებაც დაიბრუნა და პროფესიული რეპუტაციაც აღიდგინა. ამაში მას კლინტ ისტვუდის Unforgiven-სა და "ჰარი პოტერის" ორ ფილმში განსახიერებული როლები დაეხმარა.

### 5. პეგი ლი: გარდაიცვალა 21 იანვარს, 81 წლის

მომღერალთა მომღერალი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა საკუთარი გამორჩეული სტილის შექმნაზე. ლის თანაბრად კარგად გამოსდიოდა დიდ ბენდებთან ერთად სიმღერა, ჯაზისა და თანამედროვე კლასიკის შესრულებაცა და "დისნეის" ფილმებზე ხმის დადებაც.

### 6. როზმარი კლუნი: გარდაიცვალა 29 ივნისს, 74 წლის

პოპულარული მომღერალი, რომელიც თავისი უშუალობისა და დადებითი აურის გამო ცხოვრებაშიც ისევე ყველასთვის საყვარელი იყო, როგორც სცენაზე.

### 7. პრინცესა მარგარეტი: გარდაიცვალა 9 თებერვალს, 71 წლის

დედა დედოფალი: გარდაიცვალა 30 მარტს, 101 წლის

ელიზაბეტ დედოფლისთვის ოქროს იუბილეს წელი ორი სამწუხარო ამბით დაიწყო. მას დედა და და დაეღუპა. დედა დედოფალი უმცროსი ქალიშვილის დაკრძალვიდან რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა. 101 წლის დედოფლის დაკრძალვაზე 200 ათასი ბრიტანელი მივიდა.

### 8. როდ სტაიგერი: გრადაიცვალა 9 ივლისს, 77 წლის

ის 50-60-იანი წლების ყველაზე გახმაურებულ ფილმებში მონაწილეობდა. "ღამის სიცხეში" შესრულებული როლისთვის კი "ოსკარითაც" დაჯილდოვდა. თუმცა, სტაიგერი არასდროს მალავდა ცინიკურ დამოკიდებულებას ჰოლივუდის მიმართ, რის გამოც მან ბევრი მაღალი დონის როლი დაკარგა.

### 9. სპაიკ მილიგანი: გარდაიცვალა 27 თებერვალს, 83 წლის

ალტერნატიული კომედიის დამფუძნებელი, Goons-ის შემქმნელი. თუმცა, მას წარმატებული კარიერის გაკეთება ძვირად დაუჯდა: ხუთჯერ გადაიტანა საშინელი ნერვული სტრესი და მთელი ცხოვრება ებრძოდა დეპრესიას. მიუხედავად ამისა, სპაიკ მილიგანმა ვირტუოზი კომიკოსების პანთეონში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

### 10. ჯონ ენტვისტლი: გარდაიცვალა 27 ივნისს, 57 წლის

Who-ს ყველაზე ჩუმი წევრი, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი მუსიკოსი, რომელმაც ჯგუფის წარმატებაზე უდიდესი გავლენა იქონია. ის ტურნეს დაწყების წინ, ლას ვეგასის სასტუმროში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

### 11. დადლი მური: გარდაიცვალა 27 მარტს, 66 წლის

კინოვარსკვლავი, ჯაზ-პიანისტი, კომიკოსი და ქალების გულთა მპყრობელი. ის საზოგადოებამ გარდაცვალებამდე ხუთი თვით ადრე იხილა, როდესაც მური ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მისაღებად ბუკინგემის სასახლეს სტუმრობდა.

## ჯაზის სიყვარული „მემფისიდან„ იწყება

### ახალგახსნილი კლუბი საყმაწვილო ჯაზის სამსახურში

ვერა ნეფარიძე

კლუბმა "მემფისმა" ჯაზის პატარა პროფესიონალ შემსრულებლებს უმასპინძლა. ახლადგახსნილ კლუბში საყმაწვილო ჯაზი, რომელსაც კლუბი ყოველდღიურად დაუთმობს სცენას, გუშინ ლალი ბერიძის "ჯაზ-ლენდმა" წარმოადგინა.

"ჯაზ-ლენდში" ამჟამად ცხრა არასრულწლოვანია გაერთიანებული. თუმცა, გუშინდელ საკონცერტო გამოსვლაში მხოლოდ ექვსმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ოთხი წელიწადია ჯაზისა და სხვა აფრო-ამერიკული მუსიკის საშემსრულებლო ხელოვნებას ლალი ბერიძესთან სწავლობენ და არც ისე დიდი ხანია, რაც პროფესიულ სცენაზე გამოჩნდნენ. ბოლოს მათ ფართო საზოგადოებამ (კლუბის ფართობის გამო, შესაძლოა, ეს საზოგადოება არც ისე მრავალრიცხოვანი იყო) დეკემბრის ბოლოს კლუბის "მემფისის" პრეზენტაციაზე მოუსმინა. ჯგუფის წევრებმა თორნიკე და ირაკლი გულაშვილებმა მაია ბარათაშვილთან ერთად შეასრულეს ახალი სიმღერა. უახლოეს დღეებში რეჟისორი ზაზა ორაშვილი ამ სიმღერაზე კლიპს გადაიღებს, რის შემდეგაც მსმენელი თავად დარწმუნდება "ჯაზ-ლენდის" პროფესიონალურ შესაძლებლობებში.

"ჯაზ-ლენდი" ჩვენში ცნობილი "ჯაზ-ქორალის" ბაზაზე დაარსდა. მას შემდეგ, რაც წელს ალექსანდრე კილაძის დაარსებულმა ქორალმა 1991 წელს შეწყვიტა არსებობა, ლალი ბერიძემ ანსამბლის რეანიმაცია მოისურვა. ამჟამად ჯაზ-ქორალს ახალ პროგრამაზე მუშაობის გამო შემოქმედებითი პაუზა აქვს. ლალი ბერიძემ კი "ჯაზ-ქორალის" პარალელურად, ბავშვებთან მუშაობა გადაწყვიტა და ოთხი წლის წინათ შექმნა კიდეც "ჯაზ-ლენდი". "რაც მთავარია, ბავშვები მღერიან ცოცხლად. ფაქტობრივად, პროფესიონალები არიან. რაც მთავარია, მარტო ჯაზით არ შემოიფარგლებიან, მღერიან ყველაფერს", - ანსამბლის ხელმძღვანელის ნათქვამში გუშინ კლუბ "მემფისის" სტუმრებიც დავრწმუნდით. ბავშვებმა საკუთარი საკონცერტო გამოსვლა ხალხური რეპერტუარიდან, "შენ ხარ ვენახით" დაიწყეს.

"ჯაზ-ლენდი" მორიგ პრეზენტაციას ძველით ახალი წლისთვის გეგმავს. კლუბი "მემფისი" კი ამგვარ საყმაწვილო შემოქმედებით საღამოს ხშირად, თითქმის ყოველდღიურად უმასპინძლებს. რაც შეეხება უფროსი თაობის პროფესიონალებს, კლუბი თანამშრომლობს მაია ბარათაშვილთან, ქეთი ფარესაშვილთან, დინი ვირსალაძესთან და სხვა ცნობილ ჯაზ-მუსიკოსებთან. ასე რომ, სიმყუდროვისა და თბილი ჯაზის მოყვარულთათვის "მემფისი" შესაძლოა მათთვის შესაფერისი თავშესაფარი აღმოჩნდეს.

## ალმოდოვარი მომავალთან საუბრობს

მაშინ როდესაც "ესაუბრე მას" ჯერაც მსოფლიო კინოს ჰიტად ითვლება, პედრო ალმოდოვარი მუშაობას ახალ ფილმზე იწყებს. "ცუდი განათლება" (La mala educacion) – ასე ჰქვია ესპანელი რეჟისორის ახალ პროექტს, რომელიც 60-იანი წლების სასულიერო სკოლის ორი სტუდენტის ცხოვრებას აღწერს. გადაღებები აპრილში იწყება, მაგრამ ალმოდოვარი მოსამზადებელ სამუშაოებში უკვე აქტიურადაა ჩართული.

"ცუდი განათლება" ალმოდოვარს ჯერ კიდევ 2001 წელს უნდა გადაეღო, მაგრამ მაშინ ვერაფრით შეარჩია მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობები, რის გამოც ჯერ "ესაუბრე მასის" პროექტის განხორციელება განიზრახა. პარალელურად, მან "ცუდი განათლების" სცენარზეც იმუშავა, თუმცა, მაინც ვერ გადაწყვიტა, თუ ვის დაამტკიცებს ახალ ფილმში მთავარ როლებზე. ერთი კი უკვე ცნობილია, "ცუდი განათლება" შეეცდება, წარმოაჩინოს ის გავლენა, რასაც კათოლიკური აღზრდა იწვევს.

"როგორც პედროს დანარჩენ ფილმებში "ცუდი განათლებაშიც" მრავლად იქნება ავტობიოგრაფიული მომენტები, თუმცა, ის მთლიანად ავტობიოგრაფიული მაინც არ იქნება", - დასძენს პროდიუსერი აგუსტინ ალმოდოვარი, რეჟისორის ძმა. ფილმს მადრიდსა და ვალენსიაში გადაიღებენ, რის შემდეგაც, სავარაუდოა, რომ ალმოდოვარმა "ტარანტულაზე" დაიწყოს მუშაობა. ამ პროექტის შესახებ უკვე რამდენიმე თვეა, საუბრობენ. ცნობილია ისიც, რომ მთავარ როლზე რეჟისორი ანტონიო ბანდერასს მიიწვევს – მსახიობს, რომელიც თავის დიდებულ სამსახიობო კარიერას სწორედ ალმოდოვარის როლებს უნდა უმადლოდეს.

ვარაუდობენ იმასაც, რომ ესპანელი რეჟისორის ამ ორ პროექტსაც საქვეყნო აღიარება მოჰყვება. თუმცა, უცნობია, რამდენად მოხერხდება იმ რეკორდის მოხსნა, რაც ალმოდოვარის ბოლო ფილმმა დაამყარა. შეგახსენებთ, რომ "ესაუბრე მას" დეკემბერში, ევროპული კინოს ფესტივალის ჰიტი გახდა. ფილმმა რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა, მათ შორის საუკეთესო სცენარის, ფილმისა და რეჟისორის კატეგორიაში. მთავარი როლის ერთ-ერთმა შემსრულებელმა ხავიერ კამარა კი ხალხის რჩეული მსახიობი გახდა.

თუმცა, ამ წარმატებების მიუხედავად, "ესაუბრე მას" უცხოენოვან "ოსკარზე" მაინც არ წარადგინეს. ესპანეთს ამ კატეგორიაში ფერნანდო ლეონის დრამა "ორშაბათები მზეში" Los lunes al sol წარადგენს.

## საახალწლო ლიტერატურული სიურპრიზები

ახალი, 2003 წელი ლიტერატურის მოყვარულებისთვის ორი შესანიშნავი სიურპრიზით დაიწყო: სრულიად მოულოდნელად სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში ასტრიდ ლინდგრენის პეპი გრძელიწინდას საშობაო თავგადასავალი აღმოაჩინეს. ამ ხელნაწერმა ბიბლიოთეკის არქივში ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა, ისე რომ მისი არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ბიბლიოთეკარმა ლენა ტორნკვისტმა, რომელმაც პეპის ახალი ისტორია აღმოაჩინა, თვითონაც არ იცის, საიდან გაჩნდა აქ უცნობი პეპი, ან როგორ მოხდა, რომ მას აქამდე ყურადღება არავინ მიაქცია. ბიბლიოთეკარი ლენა ტორნკვისტი, რომელიც, ამავე დროს, ასტრიდ ლინდგრენის საზოგადოების მდივანიცაა, დიდი ხანია ლინდგრენის შემოქმედებას იკვლევს და დაბეჯითებით აცხადებს, რომ პეპის საშობაო თავგადასავალი პოპულარული შვედი მწერლის დასრულებულ თუ დაუსრულებელ ნაწარმოებთა ნუსხაში შეტანილი არ ყოფილა. ამ აღმოჩენით შვედები აღფრთოვანებულნი არიან, გამომცემლობები ახალი ზღაპრის გამოქვეყნებას აღარ დააყოვნებენ და მოუსვენარი პეპის ფათერაკიანი საშობაო ამბები პატარებისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება.

მეორე უცნობი ლიტერატურული აღმოჩენა ბრიტანეთში მოხდა. 34 წლის ამერიკელმა ფილოლოგმა მაიკლ დრაუტმა ოქსფორდის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში ცნობილი მწერლის, ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენის უცნობ ხელნაწერს მიაგნო. ოქსფორდის უნივერსიტეტის გერმანისტიკის კათედრის პროფესორის - ტოლკიენის ნაშრომი შუასაუკუნეების საგას "ბეოვულფის" თარგმანსა და კომენტარებს მოიცავს. ხელნაწერი საკმაოდ სოლიდურია, ის ორი ათასი გვერდისგან შედგება. ფილოლოგიურ წრეებში უკვე მოუთმენლად ელოდებიან ტოლკიენის ახალი ნაშრომის გამოქვეყნებას, მწერალი ხომ დიდ დროს უთმობდა ანგლო-საქსური და სკანდინავიური მითოლოგიის კვლევას და საკუთარი საინტერესო მითოლოგიური სამყაროც კი შექმნა. უცნობი ნაშრომის გამოქვეყნება 2003 წლის ზაფხულისთვის არის ჩაფიქრებული. მანამდე კი ბრიტანეთში ტოლკიენის იუბილე იზეიმეს. ტრილოგია "ბეჭდების" ავტორს, რომელიც 1973 წელს 81 წლის ასაკში გარდაიცვალა, 2 იანვარს 111 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს მწერლის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებისა და გახმაურებული "ბეჭდების მბრძანებლის" ფანებისთვის განსაკუთრებული – სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. "ბეჭდები" ხომ ნაწარმოების ერთ-ერთი გმირის, ბილბო ბეგინსის 111-ე დაბადების დღის აღწერით იწყება, უფრო სწორად – მეთერთმეტე-პირველი (eleventy-first) დაბადების დღით (ასეა ნაწარმოებში), ციფრიც სიმბოლურია და ასაკიც – რესპექტაბელური. "პროფესორის სადღეგრძელო" – ასე უწოდეს ტოლკიენის საზოგადოების წევრებმა 2003 წლის საიუბილეო ცერემონიალს და მწერლის სახელზე ჭიქაც ასწიეს.

## სოლარი გიგზის სანაცვლოდ?


სანტიაგო სოლარი

ფრანგული "ეკიპის" ცნობით, მადრიდის "რეალმა" ტრანსფერზე დააყენა არგენტინელი ნახევარმცველი, სანტიაგო სოლარი. არგენტინელის საბაზრო ფასი, როგორც "ეკიპი", მადრიდის "რეალის" წყაროზე დაყრდნობით, იუწყება, 10-15 მილიონ ევროს შეადგენს.

არ არის გამორიცხული, სოლარი რთული კომბინაციის ობიექტი გახდეს, რომელშიც მილანის "ინტერიც" მონაწილეობს. საქმე ის არის, რომ 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, რონალდოს ტრანსფერის სანაცვლოდ, უკვე გადახდილი თანხის გარდა, მადრიდის "რეალმა" ვალდებულება იკისრა, მილანელებს ან ფული დაუმატოს, ან ფეხბურთელი მისცეს. ადრე საუბარი სწორედ სანტიაგო სოლარის "ინტერში" ტრანსფერს ეხებოდა. მისი ტალანტის მიმართ ექტორ რაულ კუპერი გულგრილი სულაც არ არის.

თუმცა, ამჟამად ირკვევა, რომ მილანურ კლუბს სულ სხვა ნახევარმცველის, რაიან გიგზის შეძენა სურს და ამიტომ ფული სჭირდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ "მანჩესტერ იუნაიტედი" გიგზს არ დათმობს, სოლარი, შესაძლოა, "ინტერში" აღმოჩნდეს. მოკლედ, შეიძლება გიგზისთვის ბრძოლაში არგენტინელი შემცვლელად გამოიყენონ.

## "ინტერის" მწვრთნელი ესტონეთში

ესტონეთის ქალაქ მაარდუს საფეხბურთო კლუბმა, "ლევადიამ" თავის გულშემატკივრებს ნამდვილი საახალწლო სიურპრიზი მიუძღვნა - 2003 წლის პირველი იანვრიდან "ლევადიას" სათავეში ჩაუდგა ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის, მილანის "ინტერის" ერთ-ერთი მწვრთნელი - ფრანკო პანკერი. პანკერიმ თავის ახალ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მილანის "ინტერის" ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელისთვის ეს უკვე მესამე ვიზიტი იქნება ესტონეთში. 2001 წლის ზაფხულში პანკერი ესტონეთს პირველად ეწვია. იგი ბალტიისპირეთის ამ ქვეყანაში ჯოვანი სპანიოლის აგენტის მიწვევით ჩავიდა. ამ ვიზიტის მიზანი იყო ესტონელი ფეხბურთელების - ედუარდ რატნიკოვის, ვლადიმირ ვოსკობოინიკოვისა და ტიხონ შიშოვის საქმეში ნახვა. მიმდინარე სეზონში პანკერი საერთაშორისო ბანაკ "ინტერკომპუსის" მთავარი მწვრთნელიც კი იყო და საშუალება ჰქონდა, დაკვირვებოდა ადგილობრივ ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

"ესტონეთს უდიდესი საფეხბურთო პოტენციალი აქვს, - ამბობს პანკერი, - მე ამაში დარწმუნების საშუალება მქონდა, როცა "ინტერკომპუსის" საწვრთნელ ბანაკში ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს ვაკვირდებოდი". პანკერი ამბობს, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ესტონური ფეხბურთის ნაკლი ის არის, რომ 19-20 წლის ასაკში ფეხბურთელები პროგრესირებას წყვეტენ.

"როგორც ჩანს, სახეზეა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, - დარწმუნებულია იტალიელი მწვრთნელი, - თუ მე "ლევადიას" წარუმატებლობის ბარიერის დაძლევაში დავეხმარები, ჩავთვლი, რომ ჩემი მისია შესრულებულია".

### ჩოგბურთი

## დუმილი ქარიშხლის წინ

### ავსტრალია ღია ჩემპიონატისთვის ემზადება

ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე მწვანე კონტინენტზე მინი საჩოგბურთო ტურნირები მიმდინარეობს, რომლებსაც, თვითონ ჩოგბურთელთა აღიარებით, ერთგვარი მოთელვითი დატვირთვა აქვთ. ადელაიდაში დასასრულს მიუახლოვდა 380 000- დოლარიანი ვაჟთა ტურნირი. გამოვლინდა ორი ნახევარფინალისტი - რუმინელმა ადრიან ვოინიამ ორი სეტით - 7:6 (8:6), 6:4 დაამარცხა ფრანგი ანტონი დიუპიუი; რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ კი, რომელმაც პირველ წრეში გათამაშებას ქართველი ირაკლი ლაბაძე გამოთიშა, ასევე ორი სეტით - 7:6 (7:3), 6:1 მოუგო მეხუთე ნომრად განთესილ არგენტინელ მარიანო საბალეტას.

ადელაიდის ტურნირისგან განსხვავებით, ახალი ზელანდიის ოკლენდში ფინალისტები გამოვლინდნენ. 140 000-დოლარიანი ტურნირის ფინალში ერთმანეთს კორეელი იუნ იუნგ ჩუ და ბერძენი ელენი დანილიდუ შეხვდებიან. ჩუმ ისრაელის წარმომადგენელი, ტურნირის პირველი ნომერი, ანა პისტოლეზი დაამარცხა- უფრო სწორად, მეორე სეტში, როცა ანგარიში 2:2 იყო, ებრაელმა თამაში შეწყვიტა. რაც შეეხება მეორე ნომრად განთესილ დანილიდუს, მან საკმაოდ იოლად, ორი სეტით - 6:4, 6:3 დაამარცხა შვეიცარიელი ემანუელე გალიარდი.

### მოკლედ

**ფეხბურთი.** "ლაციოსა" და პერუცის შეთანხმება ვერ მოხერხდა. იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე, ანჯელო პერუცი უკმაყოფილოა კლუბის მენეჯმენტით. ის ფეხბურთელებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სასამართლოს მიმართა და კლუბს სახელფასო დავალიანების დაფარვა მოსთხოვა. ამით პერუციმ საკუთარი თავის მიმართ უარყოფითად განაწყო კლუბის ხელმძღვანელობაც და გულშემატკივარიც. ამჟამად პერუცით დაინტერესდა ლონდონის "არსენალი", რომელიც მეკარეების ტრავმის გამო კარის დარაჯის შეძენას აპირებს, თანაც ისეთის, რომელიც დევიდ სიმენს ღირსეულად შეცვლის. თვითონ პერუცის სეზონის ბოლომდე "ლაციოში" დარჩენა სურს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფრანგი კრისტოფ დიუგარი სეზონის ბოლომდე ინგლისის "ბირმინგემ სიტის" ღირსებას დაიცავს. ფეხბურთელთან კონტრაქტი გუშინ გაფორმდა. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი უკვე დიდი ხანია "ბორდოს" დატოვებაზე საუბრობს და, როგორც ჩანს, მისი ოცნება სრულდება. თავის მხრივ, "ბირმინგემ სიტის" მწვრთნელი, სტივ ბრიუსი ვარაუდობს, რომ დიუგარის გადმობირებით მისი გუნდის შედეგიანობა (19 გოლი 22 თამაშში) მკვეთრად გაიზრდება. კრისტოფ დიუგარი სატრანსფერო დერეფნის გახსნის შემდეგ ბირმინგემელთა მეორე შენაძენია. ადრე კლუბმა შეიძინა მცველი, ფერდინანდ კოლი, რომელიც ადრე ფრანგულ "ლანსში" თამაშობდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიაში სატრანსფერო დერეფნის გახსნისთანავე "რომა" გუნდის გაძლიერების ვარიანტებს არჩევს. სხვადასხვა სავარაუდო კანდიდატებთან ერთად კლუბი ესპანეთის "მალაგას" ნახევარმცველით, კიკი მუსამპათი დაინტერესდა. 25 წლის ჰოლანდიელი წლევანდელ სეზონზე შესანიშნავად გამოიყურება და გუნდის შეტევითი პოტენციალის გაზრდა შეუძლია. რომაელებს მიაჩნიათ, რომ მუსამპა აქტიურია ფლანგზე თამაშის დროსაც.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" 23 წლის ბრაზილიელი ფორვარდი, ჯოვანი უკმაყოფილოა გუნდში თავისი მდგომარეობით და სურს ისეთ კლუბში გადავიდეს, სადაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ექნება. სავარაუდო კლუბად, სადაც შეიძლება ბრაზილიელი აღმოჩნდეს, პორტუგალიის "ბენფიკას" ასახელებენ, რომლის ხელმძღვანელობაც "ბარსასთან" მოლაპარაკებას უკვე აწარმოებს. ამას გარდა, ჯოვანიზე პრეტენზიას ვიგოს "სელტაც" აცხადებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შვეიცარიული "ციურიხიდან" გოტიე აკალეს შეძენა საფრანგეთის "ოსერს" საშუალებას აძლევს, ტრანსფერზე დააყენოს სენეგალის ნაკრების ნახევარმცველი ჰალიუ ფადიგა. "ოსერის" ტექნიკურმა მენეჯერმა, რუმ პრესასთან საუბრისას განაცხადა, რომ 6 თვის შემდეგ ფადიგას შეუძლია დატოვოს კლუბი. მასზე პრეტენზიას უკვე აცხადებს ორივე მილანური კლუბი - "მილანი" და "ინტერი".

■ ■ ■

**კრივი.** დიდი პოლონელი მოკრივე, ანჯეი გოლოტა ხულიგნობის მუხლით სასამართლოს წინაშე წარსდგება. ნოემბრის შუა რიცხვებში გოლოტა ქალაქ სოპოტში ჩხუბში გაეხვია და ვინმე იაროსლავ ტ. გემრიელად მიბეგვა. იაროსლავმა ტვინის შერყევა მიიღო. როგორც ქალაქის პროკურორმა განაცხადა, გოლოტას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

### ფეხბურთი

## კამაჩოს მიზანი ჩემპიონთა ლიგაა

ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ხოსე ანტონიო კამაჩო ამჟამად ლისაბონის "ბენფიკას" ავარჯიშებს. ესპანელმა სპეციალისტმა თავისი გუნდის მომავალ გეგმებზე გაზეთ A Bola-ს განუცხადა, რომ წელს მისი მიზანია "ბენფიკას" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში გაყვანა. კამაჩოს თქმით, თუ მისი გუნდი ამ მიზანს ვერ განახორციელებს, იგი თანამდებობას დატოვებს.

"მე ძალიან გამიჭირდება მთავარი მწვრთნელის პოსტის შენარჩუნება, თუ კლუბი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდება," - ამბობს კამაჩო, რომელიც ლისაბონურ კლუბს სათავეში 30 ნოემბერს ჩაუდგა. კამაჩოს ამგვარ ვარაუდს თავისი საფუძველი აქვს. ერთ დროს სახელოვანი კლუბი უკვე ორი წელია, რაც ევროტურნირებში ვერ ხვდება. არადა, ადრე არ ყოფილა შემთხვევა, რომ წლის შედეგების მიხედვით "ბენფიკას" რომელიმე ევროპულ თასზე თამაშის უფლება არ მოეპოვებინოს.


ხოსე ანტონიო კამაჩო

ამჟამად კამაჩოს გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, რაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად სავსებით საკმარისია.

## რებროვმა ინიციატივა კლუბს დაუთმო

უკრაინის ნაკრების ფორვარდმა, სერგეი რებროვმა დაადასტურა, რომ "ტოტენჰემ ჰოტსპურსა" და თურქეთის "ფენერბახჩეს" შორის მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება, იჯარის წესით მისი თურქეთში გადასვლის შესახებ. თუმცა, რებროვმა უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს მან თურქულ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელის თქმით, "ფენერბახჩე" ერთადერთი კლუბი არ არის, რომელიც უკრაინელისადმი ინტერესს ამჟღავნებს, მაგრამ რებროვს არც ის კლუბები დაუსახელებია, ვინც მისი შეძენის სურვილი გამოთქვა.

"ადრე ღიად ვასახელებდი იმ გუნდების ვინაობას, ვინც ჩემი შეძენით იყო დაინტერესებული, მაგრამ "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ ბრალი დამდო, რომ საკუთარ თავს ვყიდდი. შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ყველა წინადადებას კლუბი იღებს და ის განიხილავს - რასაკვირველია, გარკვეული ნიუანსების და, ალბათ, პირველ რიგში, ფინანსური ნიუანსების გათვალისწინებით. ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელობა საბოლოოდ იმ ვარიანტზე შეჩერდება, რომელიც მას ყველაზე დიდ სარგებელს მოუტანს. გუნდი ხომ ისევ იმედოვნებს, ჩემი ტრანსფერით იმ თანხის ნაწილი მაინც ამოიღოს, რომელიც ჩემი შეძენის დროს დახარჯა".


სერგეი რებროვი

რებროვმა უარყო ხმები იმის შესახებაც, რომ მისი პერსონით იტალიის "ლაციო" და ინგლისის "ფულჰემი" დაინტერესდნენ.

### კრივი

## ლუისი ხან ჭრის, ხან კერავს

ლენოქს ლუისი ხან ჭრის, ხან კერავს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი წარმოდგენა რჩებათ იმ მოკრივეებს, რომლებსაც მასთან შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. ცნობილი იყო, რომ ბრიტანელი ჯერ მაიკ ტაისონთან გაარკვევდა ურთიერთობას, უფრო სწორად, მათ შორის მატჩ-რევანში შედგებოდა, შემდეგ კი ძმებ კლიჩკოებს შეხვდებოდა. ეს გეგმა ლუისმა რამდენჯერმე შეცვალა. მას ხან კლიჩკოებთან ჩხუბი არ აინტერესებდა, ხან - ტაისონთან. საბოლოოდ განაცხადა, რომ დაგეგმილი მატჩები აღნიშნულ მოკრივეებთან მაინც შედგებოდა. კრივის სამყაროც დამშვიდდა და ახალი სანახაობის მოლოდინით სულდგმულობდა.

ახლახან კი მსოფლიო ჩემპიონმა ახალი განცხადება გააკეთა - საზოგადოებას თავისი სიტყვები მწვრთნელის პირით აცნობა. "ლენოქს ლუისი არ არის დაინტერესებული ამერიკელ მაიკ ტაისონთან მატჩ-რევანშით," - განაცხადა ბრიტანელი მოკრივის მწვრთნელმა, ემანუელ სტიუარდმა.


ლენოქს ლუისი

"მიუხედავად იმისა, რომ მოკრივეების კონტრაქტი მატჩ-რევანშს ითვალისწინებს, ლენოქს ლუისის გამანადგურებელი გამარჯვების შემდეგ ამ მოკრივეთა კიდევ ერთი შეხვედრით ცოტა ვინმე თუ არის დაინტერესებული. ამ მატჩის გაყიდვა ძალიან ძნელი იქნება," - ამტკიცებს სტიუარდი. ამ საკითხთან დაკავშირებით "რკინის მაიკის" ბანაკის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია.

### ფორმულა 1

## ზანარდი დაბრუნებაზე ოცნებობს

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა და კარტში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ალექს ზანარდიმ ამასწინათ ბოლონიის ავტოშოუში საკარტინგო რბოლებში მიიღო მონაწილეობა. იტალიელი მრბოლელი გულშემატკივრებს ძველებურად ანცვიფრებს თავისი შეუპოვრობით, უშიშარი ხასიათით, რბოლის ჟინითა და რისკიანი სტილით. მართალია, ზანარდიმ რბოლა ვერ მოიგო, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს საყვარელი საქმის კეთების მისეულ ენთუზიაზმს.

15 თვის წინათ გერმანიის რბოლის დროს ზანარდის სერიოზული ავარია შეემთხვა და მან ორივე ფეხი დაკარგა. ამჟამად იტალიელი პროტეზებს იყენებს და მანქანას ყოველ დღე მართავს. იგი რომელიმე შეჯიბრებაში მონაწილეობაზე ოცნებობს, თუმცა განაცხადა, რომ ეს არის მხოლოდ მისი სურვილი, თავი ისევ მრბოლელად იგრძნოს და თვითკმაყოფილება განიცადოს.

" ვიცი, რომ ზოგიერთი ადამიანი ავტოშოუში ჩემს მონაწილეობას განიხილავს, როგორც რბოლებში სიმბოლურ დაბრუნებას, მაგრამ კარგად მესმის, რომ ეს ჩემთვის მხოლოდ დროის გატარების შესანიშნავი შანსია. მე ჯერ არ გადამიწყვეტია, რა საქმიანობით დავკავდები მომავალში. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ავტომრბოლელი ვიყავი და საკმაოდ კონკურენტუნარიან მანქანებსაც ვმართავდი, ამიტომ შედარებით დაბალ დონეზე დაბრუნება აღარ მსურს. თუ ვინმე შემეკითხება, მინდა თუ არა კარტის რბოლებში დაბრუნება, ორ ასპექტს აღვნიშნავ: პირველი ტექნიკური საკითხია - შევძლებ კი საერთოდ კარტის ბოლიდის მართვას? თუ წესებს ოდნავ შევცვლით და გაძლიერებული მუხრუჭების გამოყენებას დავუშვებთ, მაშინ საშუალება მომეცემა, მანქანა მხოლოდ ხელით ვმართო, თანაც, შეიძლება, ეს უკეთესადაც გამომივიდეს, რადგან ჩემი ხელები უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე ფეხები. და თუ ვინმეს აინტერესებს, მინდა თუ არა ძველებურად აქ ყოფნა, მე ვუპასუხებ, - დიახ, რა თქმა უნდა, მინდა".


ალექს ზანარდი

### რალი

## ქვიშის კარიერის დაკარისტები

*მსოფლიოს უპრესტიჟულესი რბოლა, რომელიც ავტო-მოტო სპორტის გულშემატკივართათვის აქამდე "პარიზი-დაკარის" სახელით იყო ცნობილი, 2003 წელს შეჯიბრებას უცხო მარშრუტით და ახალი სახელით შეხვდა. "ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის ორგანიზატორებმა ტრადიციული მარშრუტიდან გადაუხვიეს და ახალი გზის გაკვალვას შეუდგნენ.*

გიგა გურასაშვილი

პრესტიჟულმა ავტორალიმ, რომელიც აგერ უკვე საიუბილეო - 25 წელს ითვლის, აქამდე დამკვიდრებული მარშრუტიდან პირველად გადაუხვია. გამარჯვებისა და ახალი სიმაღლეების დაპყრობის ამბიციის მქონეთ ამჯერად საფრანგეთისა და სენეგალის დედაქალაქებისთვის გვერდის ავლა მოუწევთ...

ახალი წლის პირველ დღეს საფრანგეთის საპორტო ქალაქიდან, მარსელიდან სტარტი აიღო და 128 მსუბუქი ავტომობილის, 165 მოტოციკლეტის და 49 სატვირთო მანქანისგან შემდგარმა საავტომობილო ქარავანმა. ვიდრე მსოფლიოს უგრძესი და ურთულესი საავტომობილო მარშრუტის 342 მონაწილე აფრიკის უდაბნოებს შეუტევს, მათ საფრანგეთისა და ესპანეთის ტერიტორიებზე გამავალი სამი ეტაპი მარსელი-ნარბორნი-კასტელონი-ვალენსია უნდა გაიარონ. ყოველ შემთხვევაში, გეგმით გათვალისწინებული გრაფიკის მიხედვით, სამივე მარშრუტი უკვე გავლილი უნდა იყოს, რადგან დღეისთვის ყველა ეკიპაჟს აფრიკაში, კერძოდ, ტუნისში ელიან. ვალენსიიდან ხმელთაშუა ზღვის ბორანით გადაკვეთის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეებს საჰარის უდაბნოს მკაცრ ბუნებრივ პირობებში მოუწევთ შეჯიბრება. ტუნისიდან ლიბიაში გადასულებს საფინალო ხაზის გადასაკვეთად 19 იანვარს ეგვიპტეში წითელი ზღვის საკურორტო ქალაქ შარმ-ელ-შაიხში დაელოდებიან. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მარათონული რბოლის ერთადერთ დასვენების დღედ 13 იანვარი დათქვეს. დასვენების ადგილად კი ეგვიპტის ოაზისი, სივა შეარჩიეს.

სპორტსმენებს, მთლიანობაში, 8,552 ათასი კილომეტრის გადალახვა მოუწევთ. აქედან, 5,216 ათასი კილომეტრი სპეციალურ "ქრონომეტრულ", ანუ ჩქაროსნულ ეტაპებს ითვალისწინებს. შეჯიბრების ყველაზე გრძელი ეტაპი იქნება სინაის უდაბნოში ქალაქების აბუ-რიშსა და შარმ-ელ-შაიხს შორის გამავალი 882 კილომეტრისგან შემდგარი ფინალური "ჩაკეტილი" მონაკვეთი, ხოლო ურთულესი - ლიბიის სამხრეთით საჰარის უდაბნოში გამავალი 700 კილომეტრიანი ეტაპი. მთლიანობაში "ტელეფონიკა დაკარი-2003" 17 ეტაპს ითვალისწინებს. ავტორალის მონაწილეებს მოემსახურებათ 600 ავტომობილი, ათზე მეტი შვეულმფრენი და 17 თვითმფრინავი.

მიუხედავად შეცვლილი მარშრუტისა, როგორც შეჯიბრების ორგანიზატორები და მონაწილენი აცხადებენ, რალი არანაკლებ დაძაბული და უშეღავათო იქნება. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებული სიფრთხილით საუბრობენ ლიბიის უდაბნოზე, რომელიც ურთულეს მონაკვეთადაა მიჩნეული.

"ეს იქნება უძნელესი დაკარი და ამ სიტყვებში არაფერია გადაჭარბებული. ამასთან, თუ ახალ მარშრუტებსაც გავითვალისწინებთ - ყველაზე ქვიშიანიც. სამი ქვეყნის ლანდშაფტი, რომელიც ჩვენ უნდა გადავკვეთოთ, სწორედ ქვიშიანობით გამოირჩევა", - აცხადებს 2001 წლის დაკარის ტრიუმფატორი, იუტა კლეინშმიდტი. იგი ამგვარი შეჯიბრების ისტორიაში ერთადერთი ქალი სპორტსმენია, რომელიც ტიტულს დაეუფლა.


ჰიროში მასუოკა "მიცუბიში"

რაც შეეხება შეჯიბრების სხვა მონაწილეებს, მარათონული რბოლა სადებიუტო იქნება ცნობილი ფრანგი მსახიობის, ჟან-პოლ ბელმონდოს ვაჟისთვის, პოლ ბელმონდოსთვის.

შეჯიბრება იმითაცაა საინტერესო, რომ ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ასპარეზობას დაუბრუნდა რალის ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი და დაკარის ოთხგზის გამარჯვებული, ფინელი არი ვატანენი. იგი ამჯერად ''Nissan''-ის საჭესთან ზის.

"ტელეფონიკა დაკარი-2003"-ს, ბუნებრივია, ჰყავს თავისი ფავორიტებიც. ასეთები არიან, უპირველესად - ყოფილი ჩემპიონი, ფრანგი ჟან-ლუი შლესერი და ტიტულის დასაცავად მებრძოლი, იაპონელი ჰიროში მასუოკა, ასევე მისივე თანამემამულე, კენჯირო შინოზუკა და იტალიელი მიკი ბიასიონი. ოთხივე "Mitsubishi"-ით ასპარეზობს.

მოტოციკლეტის კატეგორიაში არაერთგზის გამარჯვებული, ფრანგი სტეფან პეტერჰანსელი კი ბედს ისევ არ ნებდება და მეხუთე მცდელობაზე სურს, წარმატებას ოთხთვლიანი საშუალებითაც მიაღწიოს. წინამორბედების მსგავსად, ისიც "Mitsubishi"-ით ასპარეზობს.

"Toyota"-ას საჭეს მეორედ მიუჯდა ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი და "ლე მანის" სპორტული მანქანების მესაჭე, იაპონელი უკიო კატაიამა.

სხვათა შორის, კატაიამა მარტო ავტომობილებით როდია გატაცებული, მას ვერტიკალური სამყაროც იზიდავს.

"ორი თვის წინათ, როდესაც ევერესტი დავიპყარი, ჩემი ოცნება ავისრულე, მაგრამ მიმაჩნია, რომ დაკარი ბევრად რთულია, უფრო რთული - ვიდრე "ლე მანის" 24- საათიანი რბოლა და ფორმულა ერთი. პირადად ჩემთვის ეს ურთულესი გამოცდაა", - აცხადებს დაკარის იაპონელი მრბოლელი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წაიყვანდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წაიყვანდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# TV პროგრამა 4 იანვარი

## რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა
**09.00, 15.00, 21.00, 01.00** კურიერი
**09.20** მულტფილმი „ატლანტიდა - დაკარგული ცივილიზაცია“
**10.40** სერიალი „ათასწლეული“
**12.20** მხ. ფილმი „თორმეტი სკამი“ მე-3 და მე-4 სერია
**15.25** კოლომბო
**16.20** მხ. ფილმი „სამსახურეობრივი რომანი“ 1-ლი ნაწილი
**18.20** მხ. ფილმი „სამსახურეობრივი რომანი“ მე-2 ნაწილი
**19.15** ჯეოსელის ლატარია
**20.05** სერიალი „ჩინელი პოლიციელი“
**21.00** კურიერი PS
**22.00** ფსიქო. მხ.ფ. „მეფე ნიუ-იორკში“
**01.15** მხ.ფილმი „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“
**03.00** ღამის ჯაზი

## პირველი არხი

**07.55, 15.00, 20.00, 01.55** მოამბე
**08.05** მულტსერიალი „თოვლის პაპა“
**08.30** მხ. ფილმი „ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით“
**10.00** დილის პაემანი
**11.00** „მხიარული კარუსელი“
**11.30** მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი“
**11.55** გლობუსი
**12.25** მეტრო
**13.00** კვალი
**13.30** დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“
**14.25** „საქართველო, დრო, მოვლენები“
**15.15** ქართ. მხ. ფილმი „გაჟღდილები“
**16.40** საწინდარი
**17.15** „სიტყვა კაზმული“
**18.00** ვესტნიკი
**18.45** „თბილისის დროით“
**19.05** „ენერგია“
**19.35** „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“
**20.30** „ძველი ვოდევილები“ (ძველ სასამართლოში)
**21.30** „ფორტუნა“
**22.15** ა. ბასილაიას შემოქმედებითი საღამო მოსკოვში
**00.00** ბენი ჰილი
**00.30** მხ. ფილმი „ქამელეონი“
**02.05** ღამის ჯაზი - შადი

## პირველი სტერეო

**09.15** გან. წლის ათეული
**10.00** ტოროლა
**13.00** ნონსტოპი
**17.00** ფილმი კომედია „ცეცხლის ძალა“
**19.00** გან. ინფორმატორი
**19.30** ვიდეორადიო
**21.00** ნოსტალგია 1
**21.50** აბა გამოიცანი მიქსი
**00.00** გან. ტელედისკოთეკა
**03.30** ფილმი ბრავო „ბანდიტები“
**05.45** პაუზის გარეშე

## მეორე არხი

**19.00** მულტფილმი
**19.30** ორატორი
**19.45** სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
**20.40** „ახლო ხედი“
**21.10** მხ. ფილმი „კეთილშობილი მარტა“
**23.25** კონცერტი „ჩიკო და ჯიფსი“

## იბერია

**08.00** ალსავალი
**08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30** მუსიკა
**08.30** მხ. ფილმი „გაფრენა სანტა კლაუსთან“
**10.20** მხ. ფილმი „კრიჟაშეკრული“
**13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები
**13.10, 18.00, 19.30** მულტფილმი
**14.10** დოკ. ფილმი
**17.30** დოკ. სერიალი
**18.45** ბუნების ფერები
**22.30** მხ.ფ. „ფლეშ გორდონი“
**23.00** მხ.ფ. „საბრინა - პატარა კუდიანი“
**00.40** ღამის ფილმი

## კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „60 მილიონ დოლარად შეფასებული ოპერაცია“
**13.30** მხ. ფილმი „შეცდომითი სამიზნე“
**15.00** მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი“
**17.00** მულტფილმი „ანასტასია“
**19.00, 20.30, 00.00** „დღეს“
**19.20** მუსიკა
**21.00** მხ. ფილმი „სიყვარულისა და დაშნის ისტორია“
**22.30** მხ. ფილმი „მიწის კანკალი“
**00.20** მხ. ფილმი „ზვიგენი“

## მეცხრე არხი

**10.00** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
**10.45, 11.50, 13.20, 15.00, 16.20, 17.30, 19.00, 21.45, 23.30** მუსიკა
**11.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“
**12.00** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“
**12.30** მულტფილმი „ნამცეცა“
**13.40** რუსული ზღაპარი „უკვდავი კაშეი“
**15.20** მულტფილმი „სამი მუშკეტერი“
**16.30** დოკ. სერიალი „ველური ბუნება“
**17.40** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ მე-40 სერია
**18.30** მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადი“ მე-40 სერია
**19.15** მხ. ფილმი „მისტერიები“
**20.45** მუს. დოკ. ფილმი „ბრიტნი სპირსი“
**21.00** მულტფილმი „ტომი და ჯერი“
**21.30** „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „ძველი კველდინბურგი. გერმანია“
**22.00** მხ. ფილმი „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“
**00.00** მხ.ფ. „მაილოს დაბადება“

## VII არხი

**15.05** მელოდია, იუმორი
**15.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა
**16.00** მხ.ფ. - „უსიამოვნებები მაიმუნთან დაკავშირებით“
**17.50** ტელესერიალი - „გრაფ მონტე კრისტო“ - მე-6 სერია.
**18.45** საყოფაცხოვრებო ტექნიკა
**19.20** მელოდია, იუმორი
**19.45** ნახატი ფილმი - „პეპი გრძელი წინდა“
**21.00** აუდიო-ვიდეო-ტელე
**21.35** „ღამის კაპრიზი“
**22.40** კომპიუტერული ტექნიკა
**23.15** მელოდია.
**23.30** მხ.ფ. - „ამერიკაში მოგზაურობა“
**01.15** მელოდია

## OPT

**07.00** „Доброе утро!“
**10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости
**10.15** Комедия „Грубая огранка“
**12.20** Мультфильм „Зима в Простоквашино“
**12.40** Следствие ведет Колобков
**13.15** Худ.фильм „День дельфина“
**15.10** Звезды танца на Первом канале
**16.15** „Правда об обезьянах“
**17.00** Комедия „Железнодорожный романс“, 1 с.
**18.00** „Большая стирка“
**19.25** „Шутка за шуткой“
**20.05** Жди меня
**21.00** „Кто хочет стать миллионером?“
**22.00** Время
**22.40** Комедия „Железнодорожный романс“, 1 с.
**23.45** Независимое расследование
**00.30** Ночное „Время“
**00.45** Телеканал „Новый день“. „Вкус змеи“
**01.15** Телеканал „Новый день“. „Русский экстрим“
**01.45** „Апология“
**02.50** Триллер „Пираньи“

## PTP

**07.20** Фильм-сказка „Легенда“
**08.40** Сериал „Дракоша и компания“
**09.05** „Студия „Здоровье“
**10.00** „Военная программа“
**10.20** „Два рояля“
**11.15** Мультсериал „Джеки Чан“
**11.55** „ХА“. Маленькие комедии
**12.15** „Сам себе режиссер“
**13.10** „Сто к одному“
**14.00** „В поисках приключений“
**15.00, 21.00** Вести
**15.20** Комедия „Вечерний лабиринт“
**16.45** „ХА“. Маленькие комедии
**17.00** Комедия „Робин Гуд. Мужчины в трико“
**19.00** „Моя семья“
**20.00** „Аншлаг“
**21.25** Местное время. Вести-Москва
**21.40** Худ.фильм „Сонная лощина“
**23.40** Худ.фильм „Турбулентность“
**01.25** Концерт „Паваротти и друзья“
**02.20** „Синемания“. Новогодний выпуск
**03.05** „Горячая десятка“ НТВ
**09.40** Утро на

## НТВ

**09.50** Сериал „Улицы разбитых фонарей“
**11.00** „Сегодня утром“
**11.15** „Совершенно секретно“. Заговор красных маршалов
**12.00, 13.00, 18.00, 20.00** „Сегодня“
**12.05** „Кулинарный поединок“
**13.05** Комедия „Астерикс и Обеликс против Цезаря“
**15.05** „Женский взгляд“ О.Пушкиной
**15.40** Детектив „Она написала убийство“
**16.35** „Доверьте тайну женщине“. Ток-шоу „Принцип „Домино“
**18.05** Комедия „Протокол“
**20.30** Сериал „Гангстерские войны“, 1 с. „Банда неудачников“
**21.25** Сериал „Улицы разбитых фонарей“. „Отсутствие доказательств“
**22.35** Тайны особой лаборатории ФСБ
**23.00** „Сегодня вечером“
**23.35** Детектив „Грязный Гарри“
**01.30** Сериал „Воры“
**02.15** Гордон

# სკანდინავიური კროსვორდი



Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმობრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერომჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

საგაზეთო ქაღალდი ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი –580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]

